საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1938
23/05/2022

1938-21-2-202205231435

შპს „ბუნებას“

მის: ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნახახულევი

ელ. ფოსტა: diana@as.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №11131 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნახახულევში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის და დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში მოცემული უნდა იქნეს საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები (shp-ფაილთან ერთად);
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, „ტექნოლოგიური პროცესის აღწერაში“ მითითებულია, რომ სარწყავი წყლის აღება ხდება მდ. ზემო კუხიდან. ამასთან, ამავე თავში აღნიშნულია, რომ ბაღის მოსარწყავად იგეგმება წვეთოვანი სისტემის მოწყობა. შესაბამისად, სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით (როგორც განხორციელებული, ისე დაგეგმილი ღონისძიებები);
- დოკუმენტში მოცემული არ არის მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, სიტუაციურ რუკაზე დატანით;
- სკრინინგის განცხადებაში (გვ. 7) აღნიშნულია, რომ გამოყენებული წყლის რაოდენობა თვეების მიხედვით ცვალებადია, თუმცა, ცხრილში მითითებულია, რომ თითოეულ თვეს (აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი) ასაღები წყლის რაოდენობა შეადგენს 3 885 $მ^3$-ს (ჯამში 23 310 $მ^3$). შესაბამისად,თვეების მიხედვით ნერგების მორწყვის ჯერადობა და მდ. კუხიდან აღებული წყლის რაოდენობა საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია, მდ. ზემო კუხზე არსებული წყალმოსარგებლ(ებ)ის თაობაზე;
- „ტექნოლოგიური პროცესის აღწერაში“ მითითებულია, რომ „მდინარიდან წყლის ამოქაჩვა მოხდება ელექტრო ტუმბოს საშუალებით, 90 მმ. დიამეტრის მქონე

პოლიეთილენის მილით. ელექტრო ტუმბო და მილი მოთავსდება ჭაში.“ აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანია და საჭიროებს განმარტებას;

- დოკუმენტში მოცემული წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები (X - 4691937.665, Y - 291411.239) საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს აღწერა და სიტუაციური რუკა, სადაც დატანილი იქნება წყალაღების წერტილი და საპროექტო ხაზობრივი ნაგებობის დერეფანი;
- დოკუმენტში განხილული უნდა იყოს მდინარე კუხზე წყალაღების კვეთში არსებული ჰიდროლოგიური რეჟიმი, მათ შორის მოყვანილი უნდა იყოს ინფორმაცია მინიმალური ხარჯების თაობაზე;
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს წყალაღების წერტილიდან საპროექტო ტერიტორიამდე წყლის მისაყვანად გათვალისწინებული მილის სიგრძე;
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში განხილული უნდა იქნეს, არმირებული მოედნის მოწყობისას ნიადაგის ნაყოფიერი ფენის არსებობის შესახებ, ასევე მისი მოხსნის, დასაწყობებისა და შემდგომი მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს სარწყავი სისტემის მოწყობის ეტაპზე გამოსაყენებელი ტექნიკის შესახებ ინფორმაცია;
- დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ხმაურის გავრცელება მოსალოდნელია მხოლოდ სარწყავი სისტემის მოწყობის ეტაპზე, თუმცა გათვალისწინებული არ არის სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციის ეტაპზე წყალაღებისათვის გათვალისწინებული ტუმბოს მუშაობა;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს სარწყავი სისტემის შემადგენელი ინფრასტრუქტურის მოწყობის (სატუმბი სადგური, არმირებული მოედანი და სხვა) პროცესში წარმოქმნილი ნიადაგის/გრუნტის შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო